განკარგულება:**g-19. 19260893**
თარიღი:**30/03/2026**

განკარგულება №27

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვაჟა გენგაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 30 იანვრის №50 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ვაჟა გენგაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 300 (სამასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენის კანონიერი წარმომადგენლის და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:
ვაჟა გენგაშვილი - 600 (ექვსასი) ლარი, პ/ნ . თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ლაშა გენგაშვილის პ/ნ საბანკო ანგარიშზე:

ბადრი ბედიანაშვილი - 300 (სამასი) ლარი, პ/ნ

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი